საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 584

2012 წ. "16" 10

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოების უსაფრთხოების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 16 ოქტომბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოების უსაფრთხოების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 16 ოქტომბრის №15 სხდომის ოქმის 27-ე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კიკალეიშვილი

მდივანი
დიმიტრი ალავიძე